პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 273 (10359) | პარასკევი, 18 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ნორვეგიისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. — **„პრავდის“ 17-XI მოწინავე** (1-ლი გვერდი).

მოსკოვიდან ინდოეთს გაემგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი (1-ლი გვერდი).

მეცხვარეობის შესახებ სრულიად საკავშირო თათბირის სექციებში (1-ლი გვერდი).

ტიმონინოელ კოლმეურნეთა დელეგაცია საქართველოში (1-ლი გვერდი).

**კ. ხუბულავა.** — პარტიის რაიკომი და ბრძოლა მეცხოველეობის განვითარებისათვის (მე-2 გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე (მე-2 გვერდი).

მოსკოვში ჩამოვიდა ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (მე-2 გვერდი).

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ... — ... (მე-2 გვერდი).

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში (მე-3 და მე-4 გვერდი).

დამთავრდა სსრ კავშირის XXXVI პირველობა მძლეოსნობაში (მე-4 გვერდი).

# ნორვეგიისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კომუნიკე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სსრ კავშირისა და ნორვეგიისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. შეაჯამა რა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის მოლაპარაკების შედეგები, ეს დოკუმენტი სახავს საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზებს და ამით ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის მოლაპარაკება იმის ახალი დადასტურებაა, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ლენინური პოლიტიკას, დიდი და პატარა ქვეყნების თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის საფუძველზე მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკას.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ყოველთვის მშვიდობიანი და მეგობრული იყო. ორივე სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობდა ეკონომიურ და კულტურულ დარგებში. მეორე მსოფლიო ომის დროს ნორვეგიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა განმტკიცდა სისხლით, რომელიც დაიღვარა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე.

საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთ გაგების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი წინაპირობაა. საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკების დროს „გამოითქვა სურვილი შემდგომ განავითაროს საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ვაჭრობა და სხვა ეკონომიური ურთიერთობა სრული ნაცვალგების საფუძველზე. მხარეები, კერძოდ, შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ იმას, რომ ორივე ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლები ეწვიონ ერთმანეთს, რათა გაეცნონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს“. 15 ნოემბერს ხელი მოაწერეს ოქმს 1956-1958 წლებში სსრ კავშირისა და ნორვეგიის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ და ოქმს 1956 წელს სსრ კავშირისა და ნორვეგიის საქონლის დამატებითი ურთიერთ მიწოდების შესახებ.

ნორვეგიისა და სსრ კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება დადებით გავლენას მოახდენს ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. ახლანდელ პირობებში, როცა სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო ფენები და საქმიანი წრეები მოითხოვენ საერთაშორისო ვაჭრობის, მეცნიერულ-ტექნიკური კავშირისა და თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კომუნიკე იძლევა იმის თვალსაჩინო მაგალითს, თუ როგორ უნდა გადაიჭრას პრაქტიკულად ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა. თუ არის ორივე მხარის სურვილი და კეთილი ნება სრული ნაცვალგების საფუძველზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების ეკონომიური და ტექნიკური ურთიერთობის პრობლემა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას.

„აზრთა გაზიარების მსვლელობაში, — აღნიშნულია კომუნიკეში, — მიზანშეწონილად იქნა ცნობილი დამყარდეს მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის და გათვალისწინებულ იქნა განაგრძონ დიპლომატიური წესით მოლაპარაკება კონკრეტული ნაბიჯების შესახებ ამ მიმართულებით“.

პრაქტიკული თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის მაგალითი იყო ორივე ქვეყნის მთავრობათა შეთანხმების მიღწევა იმის შესახებ, რომ შეიქმნას საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ექსპერტთა კომისია, რომლის ამოცანა იქნება წარმოადგინოს წინადადებანი სსრ კავშირისა და ნორვეგიის სასაზღვრო მდინარის პაატსო-იოკის (პასვიკელვის) ჰიდრორესურსების გამოყენებაზე უფლებათა ყველაზე რაციონალური განაწილების შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღო საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საზღვრის რაიონში.

საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ხალხთა უკეთესი ურთიერთ გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურული თანამშრომლობის საკითხს. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საჭიროა წახალისდეს პირდაპირი კონტაქტი ორივე ქვეყნის წარმომადგენლობითს პროფესიულ, ეკონომიურ, სასპორტო, კულტურულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის და „დაივალოს ორივე ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკითხებს განაგებენ, ხელი შეუწყონ ასეთი კონტაქტების დამყარებას“.

ორივე ქვეყნის წარმომადგენლობითს ორგანიზაციებს შორის ასეთი პირდაპირი ურთიერთობის კარგ მაგალითად დასახელებულ იქნა თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ახალგაზრდობის დიდ გაერთიანებებს შორის, რომლებიც გეგმავენ იმ ახალგაზრდობის წარმომადგენელთა გაცვლას ორივე ქვეყანას შორის, რომელიც პრაქტიკულ ან თეორიულ სწავლას გადის. მხარეები დათანხმდნენ მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ამგვარ ინიციატივას სპორტის, ხელოვნების და კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში.

ამ ბოლო დროს ნორვეგიაში იყვნენ საბჭოთა მსახიობები, სპორტსმენები, ახალგაზრდობისა და პროფკავშირთა დელეგაციები. მათ ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ, ისევე როგორც ნორვეგიის კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის წარმომადგენლები ყოველთვის სასურველი სტუმრები იყვნენ ჩვენს ქვეყანაში. ნორვეგია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროს მიღწეული შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის გაფართოების შესახებ შეეხებიან ჩვენი ხალხების მისწრაფებას ურთიერთ დაახლოებისა და კულტურული მუნებლობის გამოცდილების გაცვლისადმი.

საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კომუნიკე გამოხატავს ორივე ქვეყნის ხალხების ნებას განამტკიცონ საერთაშორისო თანამშრომლობა და შემდგომ შეაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობა. ამ დოკუმენტში პრაქტიკულად გამოიხატა ის „ულენის სულისკვეთება“, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა ურთიერთობას.

ნორვეგიის მთავრობის მეთაურის მოსკოვში ჩამოსვლის თვით ფაქტმა, მისმა საუბრებმა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეებთან, აზრთა გულახდილმა გაზიარებამ როგორც იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობას შეეხება, ისე აგრეთვე ზოგიერთ საერთო საერთაშორისო საკითხზე, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებს შეეხება, ცხადყო სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი კონტაქტების სარგებლობა და საჭიროება. ცნობილია, რომ ზოგიერთებს ასეთი კონტაქტები არ მოსწონთ. გარკვეულ წრეებს სურთ შეინარჩუნონ „ცივი ომის“ ატმოსფერო მისი განკერძოებითა და ურთიერთ უნდობლობით, რომლისგან სარგებლობას მხოლოდ მშვიდობის მტრები ნახავენ.

საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კომუნიკე ახალი წვლილია მშვიდობის განმტკიცების საქმეში. კომუნიკეში ნათქვამია: „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ აზრთა გაცვლის მსვლელობაში ორივე მხარემ გამოთქვა მისწრაფება ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ყველა ხალხის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე“.

ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა საუბრებმა საერთაშორისო საკითხებზე ხელი შეუწყო მხარეთა პოზიციების უფრო ნათლად გაგებას და ეჭვი არ არის სამსახურს გაუწევს ნორვეგიისა და სსრ კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეს.

საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით შეხვდნენ კომუნიკეს იმ ნაწილს, რომელშიც ნათქვამია: „საბჭოთა მხარის შეკითხვასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენმა განაცხადა, რომ ნორვეგიის მთავრობა არ შეუწყობს ხელს პოლიტიკას, რომელსაც აგრესიული მიზნები აქვს, და არ მისცემს ნორვეგიის ტერიტორიაზე ბაზებს უცხოეთის შეიარაღებულ ძალებს, სანამ ნორვეგია არ განიცდის თავდასხმას ან არ იქნება თავდასხმის საფრთხე“.

სავსებით უეჭველია, რომ ნორვეგიის საზოგადოებრიობის ფართო ფენები, რომლებიც გადაჭრით ილაშქრებენ აგრესიული პოლიტიკის და უცხოეთის შეიარაღებული ძალებისათვის ნორვეგიის ტერიტორიის მიცემის წინააღმდეგ, მოიწონებენ პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენის ამ განცხადებას.

როგორც ნორვეგიის პრესის ცნობებიდან ჩანს, საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის მოლაპარაკების შედეგებმა ფართო და დადებითი გამოხმაურება გამოიწვია ნორვეგიაში. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ მოსკოვში მიღწეული შეთანხმების დადებით მნიშვნელობას. გაზეთი „მორგენპოსტენი“ წერს, რომ მოლაპარაკებას მოჰყვა ორივე ქვეყნის თანამშრომლობის განვითარება ბევრ დარგში. გაზეთი „მორგენბლადეტი“ მოწინავე სტატიაში კმაყოფილებას გამოთქვამს გადაწყვეტილებით სსრ კავშირისა და ნორვეგიის კულტურული ურთიერთობის გაფართოების შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მოლაპარაკების შედეგები სერიოზული წვლილია მშვიდობის განმტკიცების საქმეში, განამტკიცებს საფუძველს ნორვეგიისა და სსრ კავშირის მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა ადამიანებს მხურვალედ სურთ, რომ სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ.

**„პრავდის“ 17/XI მოწინავე.**

# მოსკოვიდან ინდოეთს გაემგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი

ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 17 ნოემბერს მოსკოვიდან დელს გაემგზავრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დ. რ. რასულოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, უზბეკეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ზ. რახიმბაბაევა.

მიმავალნი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს ა. ი. კირიჩენკომ, ა. ი. მიქოიანმა, მ. ზ. საბუროვმა, ა. ბ. არისტოვმა, ნ. ი. ბელიაევმა, პ. ნ. პოსპელოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ნ. კოსიგინმა, ვ. ა. კუჩერენკომ, პ. პ. ლობანოვმა, ვ. ა. მალიშევმა, ი. თ. თევოსიანმა, მ. ვ. ხრუნიჩევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ტ. კომაროვმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. მ. პუზანოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა ს. ფ. ანტონოვმა, ი. ა. ბენედიქტოვმა, კ. პ. გორშენინმა, პ. ვ. დემენტიევმა, მ. ა. ევსეენკომ, ვ. გ. ყაჟორნოკოვმა, ა. ნ. ზადემიდკომ, ვ. პ. ზოტოვმა, ი. გ. კაბანოვმა, ვ. დ. კალმიკოვმა, ე. ფ. კოტეენკოვმა, ა. კ. კორტოვნოვმა, ლ. რ. კორნე

# რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

## გარდაბანი

გარდაბნის რაიონში ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობებია მარცვლეული კულტურების, მეცხოველეობისა და მებოსტნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. როგორ არის გამოყენებული ეს შესაძლებლობანი? აი ის, რაზეც გაამახვილეს ყურადღება დელეგატებმა რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა.

პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. დევდარიანმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი სისტემის შემოღებამ გარდაბნელ კოლმეურნეებს საშუალება მისცა უფრო რაციონალურად გამოეყენებინათ თვითეული ჰექტარი მიწის ფართობი. წელს რაიონში გეგმის გადამეტებით 300 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დაითესა. განსაკუთრებით გაფართოვდა ბოსტნეულისა და სიმინდის ნათესები.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში. წელს გადაჭარბებით შესრულდა როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სულადობის ზრდის გეგმა. 1 ოქტომბრისათვის ცხვრის სულადობამ უკვე მიაღწია იმ დონეს, რაც 1960 წლის პერსპექტივული გეგმით არის გათვალისწინებული. გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობაც. გადაჭარბებით არის შესრულებული თვითეულ ძროხაზე რძისა და ცხვარზე რძისა და მატყლის მიღების წლიური გეგმები.

სამეურნეო წარმატებებზე მსჯელობისას როგორც მომხსენებელი, ისე კამათში გამოსული დელეგატები არ იძლეოდნენ არსებულ ნაკლოვანებათა ღრმა ანალიზს. ზოგიერთი დელეგატის, კერძოდ, ყარაიის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. ნადირაშვილის, სამგორის მტს-ის დირექტორის ა. კაკაურიძის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის საცდელი ინსტიტუტის დირექტორის გ. ყრუაშვილისა და სხვათა გამოსვლებში იგრძნობოდა წარმატებებით დატკბობის მავნე განწყობილება.

რაიონში თავთავიანი კულტურების მოსავალი წელს საშუალოდ ჰექტარზე 9,7 ცენტნერს არ აღემატება, კარტოფილისა და ბოსტნეულის უმეტეს სახეობათა მოსავლიანობაც გეგმით გათვალისწინებულზე დაბალია. ნელი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების მშენებლობა. ჯერ არ შესრულებულა უხეში საკვების დამზადებისა და სილოსის ჩადების გეგმები. რაიონში კვლავ ყველაზე ჩამორჩენილ დარგად ითვლება მეფრინველეობა.

დასახელებული ფაქტები მოწმობენ, რომ გარდაბნის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ბოლომდე ვერ შეძლეს მუშაობის ახლებურად გარდაქმნა, დაბალია სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე.

საანგარიშო მოხსენებაში უმნიშვნელო ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიულ-პოლიტიკური და. იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ამ საკითხების გაშუქებისას მომხსენებელი დასჯერდა ფაქტების უბრალო ჩამოთვლას, ამასთან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობისაგან მოწყვეტით განიხილა. ასევე მოიქცნენ კამათის მონაწილენი, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ სამეურნეო საკითხებზე მსჯელობით შემოიფარგლა.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე პირველადი პარტიული ორგანიზაციის მხოლოდ ერთი მდივანი გამოვიდა და იმასაც პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე ბევრი არაფერი უთქვამს. იგრძნობოდა, რომ დელეგატები ერიდებოდნენ პარტიის რაიკომის კრიტიკას.

წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა რაიონის 70-ზე მეტმა მშრომელმა ნახა. მაგრამ მომხსენებელს და კამათში გამოსულებს ეს მნიშვნელოვანი საკითხი მთლიანად გამორჩათ მხედველობიდან, არაფერი უთქვამთ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის შესახებ, მაშინ როცა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას და წარმოებაში დანერგვას რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ.

რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო რაიკომის მუშაობა, აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის დელეგატები.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. დევდარიანი, მეორე მდივნად — ამხ. მ. გასანოვი, რაიკომის მდივნებად — სამგორის მტს-ის ზონაში ამხ. კ. სევასტოვი და გარდაბნის მტს-ის ზონაში ამხ. ყ. ყულიევი.

**გ. ველაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## შუახევი

შედგა შუახევის რაიონული პარტიული კონფერენცია. მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. რ. სიხარაძემ და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. აღინიშნა, რომ რაიონში წელს თამბაქოს და ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

მაგრამ რაიონული პარტიულ ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. იმის გამო, რომ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ვერ ახორციელებენ კამეგობების საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, ზერელედ ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას, სიმინდისა და კარტოფილის მოსავლიანობა, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარება ძალიან ჩამორჩება. 12 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 6,5 ცენტნერი სიმინდი. ყველაზე ჩამორჩენილ დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. მართალია, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის საერთო გეგმა შესრულებულია, მაგრამ ეს მხოლოდ მოწინავე კოლმეურნეობათა მეოხებით. რაიონის 30 კოლმეურნეობიდან 16-ში შესრულებული არ არის ძროხების სულადობის ზრდის გეგმა. დაბალია პარტიუყვის პროდუქტიულობა. გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 301 კილოგრამი რძე.

მეცხოველეობის ასეთი ჩამორჩენის მიზეზი ის არის, განაცხადეს დელეგატებმა, რომ კოლმეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების შესწავლასა და პრაქტიკაში დანერგვას. მეცხოველეობის მუშაკთა შორის სუსტად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. სერიოზული ნაკლოვანებებია მეცხოველეობის ფერმების კადრებით განმტკიცების საქმეშიც. ფურტიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შეიდჯერ შეიცვალა ფერმის გამგე. ბოლოს ეს საქმე პარტორგანიზაციის მდივანს მ. ბერიძეს მიანდეს. მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ფერმაში სამუშაოდ წასვლაზე.

ბევრ კოლმეურნეობაში ნაკლებად ზრუნავენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. დელეგატმა ი. ბოროვკოვმა თქვა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდს არ იყენებენ სასალოსე მასად, არ თესავენ მას დაბალმოსავლიან სათიბებზე.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რაიკომმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად. რაიკომის ბიუროზე განსახილველ საკითხებს ზერელედ, ნაჩქარევად სწავლობენ. ღონისძიებათა შემუშავებაში სწორად არ მონაწილეობენ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა შესახებ რაიკომის ბიუროზე მსჯელობენ. სუსტია კონტროლი მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი.

ქიმინძეების კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. ბათაძემ აღნიშნა, რომ რაიკომის მუშაკები იშვიათად არიან ადგილებზე, მჭიდრო კავშირი არა აქვთ კომუნისტებთან და კოლმეურნეებთან. რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები და ინსტრუქტორები კოლმეურნეობებში მეტწილად მაშინ მიდიან, როცა ბიუროსათვის საკითხს ამზადებენ. ნაღვარევის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. მურვანიძემ თქვა, რომ რაიკომის მუშაობაში ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმის ელემენტები. რაიკომის გადაწყვეტილებებს პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდი დაგვიანებით აღებენ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. თხილაიშვილმა.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

* * *

გაიმართა პარტიის შუახევის რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. რ. სიხარაძე, მეორე მდივნად — ამხ. გ. თავამაიშვილი, ხოლო მდივნად — ამხ. შ. კეკელიძე.

**დ. კაიჭაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# მოსკოვში ჩამოვიდა ალბანეთის საპარლამენტო დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 16 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სახალხო კრების თავმჯდომარე გოგო ნუში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: მიუსლიმ ბეზა, სამი ბახოლი, სალი მბორია, შეფკეტ კრუია, ლეფტერ გოგა, ვალი დედი, სირი შაბლო, ეთემემ ბურხანი, პერსეფონი ტოდრი, კალიო ბაირაქტარი, მიხალ ილიგი, ბარდოკ ზოგუ, ბანუშ გოჯაი, ბეტო დოჩი, ველი არაპი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, საბჭოთა ჟურნალისტები.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიხალ პრიფტი და საელჩოს თანამშრომლები.

პიონერებმა ალბანელი ხალხის წარმომადგენლებს ყვავილები მიართვეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა ალბანეთის სახალხო კრების დეპუტატებს მიმართა და თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების წარმომადგენლებს, ჩვენი საამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ჩამოსვლასთან დაკავშირებით!

თქვენი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ჩვენი ხალხების ღრმათიდღე მზარდი მეგობრობის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარებას და სულით და გულით უზარიათ წარმატებანი მოძმე ალბანელი ხალხისა, რომელიც მტკიცედ დადგა თავისი სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის გზას.

ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს თქვენ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, შესაძლებლობა გეშენებათ გაეცნოთ საბჭოთა ხალხის მიღწევებს ჩვენი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უაღრესად სხვადასხვა დარგში და დარწმუნდეთ სიყვარულისა და სიმპათიის იმ ღრმა გრძნობებში, რომლებითაც საბჭოთა კავშირის ხალხები გამსჭვალული არიან მომე ალბანელი ხალხისადმი.

საბჭოთა ხალხს ახარებს თქვენი ჩამოსვლა და მზურვალედ გისურვებთ სასიამოვნო და მეგობრულ შეხვედრებს ჩვენს ქვეყანაში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო!

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა გოგო ნუშიმ. მან თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების საპარლამენტო დელეგაციის სახელით სულითა და გულით გადგიხადოთ მადლობა გულთბილი და გულითადი მიღებისათვის.

ჩვენ ძალიან [illegible] ემყოფებით თქვენს შორის. სოციალიზმის დიდი [illegible] კოვში, [illegible] ალბანეთის სახალხო კრებამ ამა წლის მარტში ერთხმად მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაცია და პატივი ჰქონდა მიეღო თავის ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. ჩვენც დიდი სიხარულით მივიღეთ მოწვევა ჩამოსულიყავით თქვენს სახელოვან ქვეყანაში. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შეხვედრები ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

ჩვენ სიხარულით მივიღეთ თქვენი მოწვევა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავიცნოთ საბჭოთა კავშირის ხალხი, დიდი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში, გავაცნოთ ჩვენი ხალხის მიღწევები ახალი ცხოვრების მშენებლობაში და ერთხელ კიდევ გამოვთქვათ სახალხო კრებისა და მთელი ალბანელი ხალხის დიდი სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა კავშირისადმი — იმ ყოველმხრივ დახმარებისათვის, რასაც მომე საბჭოთა ხალხი გვიწევს.

ნება მიბოძეთ მივესალმო ქალაქ მოსკოვის მცხოვრებთ და მთელ საბჭოთა ხალხს და გისურვოთ კიდევ უფრო მეტი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობის სახელოვან გზაზე და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

გუთმარჯოს და განმტკიცდეს დიდი საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის ძმური მეგობრობა! (საკდესი).

# ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი საქართველოში

ოსლოში, 17 ნოემბერს, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენი ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს მ. ი. კუჭავას. პრემიერ-მინისტრმა ახლდნენ ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი, ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, რომელნიც ჩამოვიდნენ პრემიერ-მინისტრთან ერთად.

მიესალმა რა ბ-ნ ე. გერჰარდსენს, მ. ი. კუჭავამ სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოში ჩამოვიდა ნორვეგიის მთავრობის დელეგაცია. მან გაიცნო სტუმრებს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენისა და ვაჭრობის მინისტრ ა. სკაუგის თხოვნით მ. ი. კუჭავამ დაწერილებით გააცნო მათ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის დაგეგმვა, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა, აღნიშნა, რომ საქართველო ახლა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკაა.

პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენმა მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის, რაც გაუწიეს მას და მის თანამგზავრებს.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები.

შემდეგ სტუმრებმა მოიარეს ქალაქი.

პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი და ნორვეგიის დელეგაციის წევრები იმავე დღეს იყვნენ გორში, სადაც ნახეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

ისინი აქედან წავიდნენ გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ დიდი მრავალდარგოვანი არტელის თავმჯდომარემ პ. ანასტასოვმა პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენის თხოვნით უამბო სტუმრებს, თუ როგორ იზრდება არტელის მეურნეობა, როგორია მისი შემოსავალი. წელს არტელმა 6.600 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო. აქედან მეევნახეობისაგან — ოთხ მილიონზე მეტი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სადილად მიიპატიჟა სტუმრები.

სადილის დროს, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა, წარმოთქვეს სადღეგრძელოები, გამარჯვება უსურვეს ხალხთა მეგობრობას, გამოთქვეს სურვილი, რომ გაფართოვდეს თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ნორვეგიას შორის.

პრემიერ-მინისტრმა ე. გერჰარდსენმა გულითადი მადლობა გადაიხადა კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც გამოითქვა ნორვეგიელ ხალხისადმი, და უსურვა საბჭოთა ადამიანებს ახალი წარმატებანი მათს მუშაობაში.

გორიდან დაბრუნების შემდეგ სტუმრები ეწვივნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ბავშვებმა შეასრულეს ქართული ცეკვები, იმღერეს, უჩვენეს სტუმრებს სასახლის კაბინეტები და ლაბორატორიები. მათ მიართვეს ე. გერჰარდსენს ეროვნული კოსტუმი და ჩონგური, ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ მათს მეცადინეობას სასახლეში და გადასცეს პრემიერ-მინისტრს წერილი ნორვეგიის ბავშვთა სახელზე.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან წასვლისას ე. გერჰარდსენმა დატოვა ჩანაწერი: „გულითადი მადლობა შესანიშნავი მიღებისათვის“.

საღამოს ნორვეგიის დელეგაცია თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრო დ. თორაძის ბალეტს „გორდას“.

პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი.

სადილზე იყვნენ ვ. პ. მეკავნაძე, მ. პ. გიორგაძე, კ. ს. ციმაკურიძე, დ. გ. მამაცაშვილი, ა. ლ. გუნია, ა. ნ. ინაური, მ. კ. მაღრაძე, მინისტრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუჭავამ სადილი გამართა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენის პატივსაცემად

17 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუჭავამ სადილი გამართა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი და მისი მეუღლე, ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი და მისი მეუღლე, ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების უფროსი ო. ოსი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰეიბერგი.

სადილზე იყვნენ აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ე. გერჰარდსენის თანმხლებნი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი.

სადილზე იყვნენ ვ. პ. მეკავნაძე, მ. პ. გიორგაძე, კ. ს. ციმაკურიძე, დ. გ. მამაცაშვილი, ა. ლ. გუნია, ა. ნ. ინაური, მ. კ. მაღრაძე, მინისტრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

# პარტიის რაიკომი და ბრძოლა მეცხოველეობის განვითარებისათვის

გეგეჭკორის რაიონის ეკონომიკაში ჩაისთან და სიმინდთან ერთად მეცხოველეობას წამყვანი ადგილი უკავია. სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას ხელს უწყობს ბუნებრივი საძოვრები, საუცხო ჰავა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცხოველეობა აქ წლების მანძილზე მცირე შემოსავალს იძლეოდა.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეებმა დიდი მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მეცხოველეობის პროდუქტიულობის წარმოების გასაადიდებლად. იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად ჩასწვდნენ მეცხოველეობის განვითარების საკითხებს, შეისწავლეს ამ დარგში ჩამორჩენის გამომწვევი მიზეზები და დასახეს ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრის ღონისძიებანი. სოფლების თამაკონის, აბედათის, ბანძის, ნაგვაზაოს, სალხინოს, ვედიკარის და სხვა კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტების კრებებზე განიხილეს მეცხოველეობის განვითარების საკითხები და დარაზმეს კოლმეურნეთა მასები სოფლის მეურნეობის ამ დარგის აღმავლობისათვის. რაიონის კოლმეურნეობებში ეწყობა ლექცია-მოხსენებები მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე, პირუტყვის მოვლა-პატრონობის, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და კვების მნიშვნელობაზე. ამ საქმეში გამოყენებულ იქნა მთელი პარტიული და საბჭოთა აქტივი, სოფლის ლექტორიუმები, მოწინავე მეცხოველეები.

რაიონის მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილების მაგალითზე კოლმეურნეები ნათლად დარწმუნდნენ, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქტიულობის გადიდების საქმეში მტკიცე საკვები ბაზის შექმნას და პირუტყვის უკეთეს მოვლა-პატრონობას. ამიტომ რაიონის აქტივის მთელი ყურადღება მიმართულ იქნა ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ. უწინარეს ყოვლისა საკოლმეურნეო ფერმებში სამუშაოდ გაიგზავნენ უნარიანი, საქმის მცოდნე კომუნისტები და კომკავშირელები. მარტო მიმდინარე წელს რაიონის კოლმეურნეობებში აშენდა 5.400 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები. ჩადებულ იქნა 8.100 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი სიმინდის სილოსი, რაც სამჯერ აღემატება გასულ წელს დამზადებულ სილოსს. პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით წელს დაითესა სიმინდი, სოია, ჭარხალი, გოგრა, საზამთრო და სხვა კულტურები. საგრძნობლად გადიდდა ჯოგში მეწველი ძროხების ხვედრითი წონა, გაუმჯობესდა მათი ჯიშიანობა. რაიონის საკოლმეურნეო პირუტყვს გასულ სამეურნეო წელს ორასზე მეტი ჯიშიანი ძროხა შეემატა. კოლმეურნეობათა უმეტესობაში დანერგილია ძროხების ბაგური და ბაგურ-ბანაკური შენახვის მეთოდი. როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრებზე მყოფი პირუტყვი მიმაგრებულია ცალკეულ მომვლელებზე.

ამ ღონისძიებების განხორციელებამ მეცხოველეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა გამოიწვია. ამაზე ნათლად მეტყველებენ მეცხოველეობაში საბოლოო წლის შედეგები. რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ სამეურნეო წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პირუტყვის ყველა სახის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების დავალება.

თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ადამია, პარტორგანიზაციის მდივანი ა. სხულუხია, ფერმის გამგე დ. სართანია) პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ სერიოზულად მოჰკიდა ხელი მეცხოველეობის განვითარებას, შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები. გადაჭრით გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა-პატრონობა. შემოღებულ იქნა პროდუქტების მტკიცე აღრიცხვა. მიღებულმა ღონისძიებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. სამეურნეო წლის განმავლობაში თვითეულ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 750-ის ნაცვლად მიღებულია 1.090 კილოგრამი რძე, რაც წლიური დავალების 145,3 პროცენტს უდრის.

ამჟამად დიმიტროველები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. გაცხოველებული მზადებაა პირუტყვის გამოსაზამთრებლად. ჩადებულია 300 ტონა სილოსი, დამზადებულია 40 ტონა ჭარხალი, საზამთრო, გოგრა, 70 ტონაზე მეტი კონცენტრირებული საკვები, საკმაო რაოდენობით დამზადებულია აგრეთვე ჩალა და თივა. მთავრდება 110 ძროხისათვის განკუთვნილი სადგომის მექანიზაცია. ფერმის მუშაკებს შორის მაღალ დონეზე დგას პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი. მოწყობილია სტენდი, სადაც უჩვენებენ მოწინავე მეცხოველეთა მიღწევებს, მათს ფოტოსურათებს. ფერმებში შექმნილია წითელი კუთხეები, გამოყოფილია აგიტატორები, ეწყობა ლექციები და მოხსენებები მეცხოველეობის აღმავლობის საკითხებზე.

საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს მეცხოველეობას სოფელ ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე გ. სურმავა) და პარტორგანიზაცია (მდივანი ვ. სურმავა). პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებანი, რამაც უზრუნველყო კოლმეურნეობაში მეცხოველეობის აღმავლობა. ფერმაში სამუშაოდ გაგზავნილ იქნენ მოწინავე კომუნისტები. ამით შესაძლებელი გახდა ფერმაში შეექმნათ პარტიული ჯგუფი, რომელმაც ნაყოფიერი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა მეცხოველეობის მუშაკთა შორის. მთელი წლის განმავლობაში პირუტყვის წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის მიზნით კოლმეურნეობამ ათეულ ჰექტარზე დათესა სიმინდი, გოგრა, საზამთრო, კომბოსტო, ჭარხალი და სხვა კულტურები, დააწესა ნაკვეთმორიგეობითი ძოვება, ააშენა 400 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკი. გეგმით გათვალისწინებული 10.000 ცენტნერის ნაცვლად დამზადდა 15.000 ცენტნერი ჩალა და თივა. შარშან და წელს აშენდა სტანდარტული ტიპის ბოსელი 124 ძროხისათვის. ცალკე კაპიტალური სადგომები ააგეს მეღორეობისა და მეფრინველეობისათვის. წარმატებით ემიდინარეობს აღნიშნული სადგომების მექანიზაცია და საზამთროდ მომზადება, იდგმება ავტომატური სარწყულებლები, კონცენტრირებული და უხეში საკვების დამუშავებელი მანქანები და სხვ.

ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს 122,2 პროცენტით შეასრულა წველადობის გეგმა. წინა წლებთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა თვითეული ძროხის პროდუქტიულობა. ორმაგად არის შესრულებული მეღორეობისა და მეფრინველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის დავალება.

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითი მოგვცა სოფელ თამაკონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ოკუჯავა, პარტორგანიზაციის მდივანი მ. სიორდია), რომელიც პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებია. კოლმეურნეობამ წველადობის წლიური გეგმა 153,5 პროცენტით შეასრულა.

ნეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის ბრძოლაში ასევე კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს სოფელ გეგეჭკორის კიროვის, სოფელ სალხინოს სტალინის სახელობისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობებმა. ეს წარმატებანი მოპოვებულია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების საფუძველზე, მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში საკოლმეურნეო მასების ფართო ჩაბმით.

ულანასკნელ ხანებში პარტიის რაიკომმა კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი კოლმეურნეობებთან, რაიკომის მუშაკები ადგილებზე სწავლობენ მდგომარეობას და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ იღებენ კონკრეტულ ღონისძიებებს.

რაიონის კოლმეურნეობებში მრავალი ნოვატორი მეცხოველეა. ბევრმა მათგანმა ნახა ჩვენი საამშობლოს დიდი სახალხო უნივერსიტეტი — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და იქ მიღებული გამოცდილებით გაიმდიდრა ცოდნა. პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. ამ მიზნით ხშირად ეწყობა მოწინავე მეცხოველეებთან შეხვედრები. თემატური საღამოები, ჩვენი ქვეყნის ნოვატორი მეცხოველეებისადმი მიძღვნილი ლექცია-მოხსენებები.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობების ყველა ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამ საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულებით აიხ

# ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში

## კომუნიკე

### საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირისა (1955 წლის 27 ოქტომბერი—16 ნოემბერი)

ამ დირექტივების შესაბამისად, რომლებიც მთავრობათა ოთხმა მეთაურმა გამოსცა ივლისში მათი ჟენევის თათბირის შემდეგ, საფრანგეთის რესპუბლიკის, შეერთებული სამეფოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებს სხდომები ჰქონდათ ჟენევაში 1955 წლის 27 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე. მათ შორის ითქვა გულახდილი და ყოველმხრივი განხილვა სამი საკითხისა, რომელთა განხილვაც მათ დავალებული ჰქონდათ დირექტივებით, სახელდობრ: 1. ევროპის უშიშროება და გერმანია; 2. განიარაღება; 3. აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარება.

საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ თავიანთი განხილვის შედეგები მოახსენონ მათს შესაბამის მთავრობათა მეთაურებს და ურჩიონ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ განხილვის მომავალი მსვლელობა მოწესრიგდეს დიპლომატიური არხებით.

## მინისტრებმა დაამთავრეს დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვა

ჟენევა, 15 ნოემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღევანდელ დილის სხდომაზე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაამთავრეს დღის წესრიგის მესამე პუნქტის — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხის განხილვა.

დღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა ვ. მ. მოლოტოვი.

მთავარი, რაც საბჭოთა დელეგაციას აინტერესებს განსახილველ საკითხში, თქვა მან, ის არის, რომ მივაღწიოთ გარკვეულ დადებით შედეგებს — განვავითაროთ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტები როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ დარგში და ყველა იმ საკითხში, რომლებიც ამ პრობლემას შეეხება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობამ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები იმ ზოგად მითითებათა განსახორციელებლად, რომლებიც მოცემული იყო მთავრობათა მეთაურების მიერ.

ამასთან დაკავშირებით მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობა ომისშემდგომ პერიოდში ერთიოთხად გადიდდა ომამდელ პერიოდთან შედარებით. მან აგრეთვე აღნიშნა ადამიანთა პირადი კავშირურთიერთობისა და კონტაქტების დარგში მიღწეული წარმატებანი.

დაახასიათა რა პროექტი, რომელიც გუშინდელ სხდომაზე შეიტანა საფრანგეთის დელეგაციამ, მოლოტოვმა განაცხადა, რომ ეს პროექტი წინ გადადგმული ნაბიჯია კონტაქტების საკითხის განხილვაში და შეიძლება ხელი შეეწყოს აზრთა შეთანხმებას. ამასთანავე, როგორც მოლოტოვმა აღნიშნა, პროექტი შეიცავს მიზანშეუწონელ წინადადებებს, რომლებიც არსებითად შეადგენს მხოლოდ შესაბამის სახელმწიფოთა კომპეტენციას და რომლებიც შეიძლება განიხილონ უშუალოდ დაინტერესებულმა მხარეებმა.

შემდეგ მოლოტოვმა განაცხადა, რომ ითვალისწინებს რა წინადადებებს, რომლებიც საფრანგეთის დელეგაციამ წარადგინა, საბჭოთა დელეგაციას თათბირის განსახილველად შემოაქვს წინადადების სახეშეცვლილი პროექტი. ამ პროექტში ნათქვამია:

1955 წლის 15 ნოემბერი.

## პროექტი ოთხი სახელმწიფოს განცხადებისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების საკითხზე

(ტექსტი შეიტანა საბჭოთა დელეგაციამ)

ხელმძღვანელობენ რა მშვიდობის განმტკიცების, ხალხებს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნისა და თანამშრომლობის განვითარების ინტერესებით, საგარეო საქმეთა მინისტრებმა, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის რესპუბლიკის, შეერთებული სამეფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივების შესაბამისად, შეისწავლეს „ღონისძიებანი, მათ შორის შესაძლო ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებსა და დაწესებულებებში, რომელთა მეოხებით შეიძლება (ა) თანდათანობით მოსპოს ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ ურთიერთობას და მშვიდობიან ვაჭრობას ხალხებს შორის, და (ბ) განხორციელდეს თავისუფალი კონტაქტები და კავშირურთიერთობა, რაც ურთიერთხელსაყრელია დინტერესებული ქვეყნებისა და ხალხებისათვის“.

A. ითვალისწინებენ რა დირექტივებს და შეგნებული აქვთ რა დიდი მნიშვნელობა პრობლემებისა, რომელთა შესწავლა დავალა ექსპერტთა კომიტეტს, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ წინადადებით მიმართონ მათს შესაბამის მთავრობებს:

—შექმნან მშვიდობიანი ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები, და ამ მიზნით განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას არსებული დაბრკოლებანი და შეზღუდვები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის დარგში იმ მიზნით, რომ კომერსანტებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს უფრო ფართოდ შეეძლოთ გამოიყენონ შესაძლებლობანი, რომლებსაც მათ აძლევს გაცვლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

— განახორციელონ მათზე დამოკიდებული ღონისძიებანი, რათა ხელი შეუწყონ ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების შეუფერხებელ მიმოსვლას საერთაშორისო მნიშვნელობის საზღვაო სრუტეებსა და არხებში და აღკვეთონ შეზღუდვები, რომლებიც ამეამად არსებობს ზოგიერთ სახელმწიფოებთან საზღვაო მიმოსვლის დარგში.

— ხელი შეუწყონ წიგნების, გაზეთების, მეცნიერული ჟურნალების, დოკუმენტალური და სხვა ფილმების, აგრეთვე რადიოგადაცემების გაცვლას, იმ შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებსაც შეიძლება ექნეთ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხასიათი.

B. ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები ფიქრობენ, რომ სასურველია გაადვილდეს და გაფართოვდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა შემდეგ დარგებში:

a) კულტურული გაცვლა, კერძოდ, საგამომცემლო საქმის დარგში, აგრეთვე კულტურული დელეგაციების, გამოფენებისა და სხვ. გაცვლა,

b) მეცნიერული და ტექნიკური გაცვლა; მეცნიერთა მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში,

c) მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მოღვაწეთა მოგზაურობა,

d) გაცვლა პროფესიულ, მეცნიერულ, ტექნიკურ და არტისტულ ორგანიზაციებს შორის,

e) როგორც პროფესორებისა და სტუდენტების, ისე ლექტორების გაცვლა,

f) სპორტსმენებისა და სპორტული კოლექტივების გაცვლა,

g) როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური ტურიზმის განვითარება.

ოთხ მთავრობას, არსებული კონტაქტების შემდგომი განვითარების მიზნით, შეუძლია განსაზღვროს, თუ საჭირო იქნა, ამ გაცვლის ხერხები. გაცვლა უნდა ხდებოდეს ხელშეკრულების დამდები ქვეყნების ურთიერთსასარგებლოდ უაღრესად ობიექტურ და კმეედით პირობებში.

C. ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს მიაჩნიათ, რომ არის მთელი რიგი კონკრეტული საკითხები, რომლებიც შეეხება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარებას, რომლებიც უნდა განიხილონ უშუალოდ დაინტერესებულმა ქვეყნებმა შესაბამის სახელმწიფოთა ინტერესებისა და უფლებრივი ნორმების გათვალისწინებით.

D. მთავრობათა მეთაურების დირექტივის შესაბამისად ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები აცხადებენ, რომ საჭიროდ მიაჩნიათ ამ ღონისძიებათა გამოყენების დროს, ოთხ მინისტრს საჭიროდ მიაჩნია, რომ საერთაშორისო სპეციალიზებულ ორგანიზაციებში (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, იუნესკო, ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა მსოფლიო ორგანიზაცია, ელექტროკავშირგამტარობის საერთაშორისო კავშირი და სხვ.) მონაწილეობა მიიღოს ყველა სახელმწიფომ, რომელსაც სურს ითანამშრომლოს ამ ორგანიზაციებში.

* * *

ოცი წუთის შესვენების შემდეგ გამოვიდნენ ჯ. დალესი, ა. პინე და ჰ. მაკმილანი.

მათ უპასუხა ვ. მ. მოლოტოვმა.

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა, რომლის დროსაც დასავლეთის სამი სახელმწიფოს მინისტრებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ისინი უარყოფენ კეიდებიან წინადადებას, რომელიც დღეს საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

## 15 ნოემბრის დღის სხდომა

ჟენევა, 16 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ ღამის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხს, განცხადება გერმანიაში უცხოელთა ჯარების შემცირებაზე პირველმა გააკეთა ვ. მ. მოლოტოვმა. მოაგონა რა თათბირს, რომ საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა წინადადება გერმანიიდან სამი თვის ვადაში უცხოელთა ჯარების გაყვანის შესახებ, გარდა განსაზღვრული კონტინგენტებისა, ხოლო ამ წინადადების უარყოფის შემდეგ 9 ნოემბერს წინადადება წამოაყენა შეთანხმებულიყვნენ ამ ჯარების 50 პროცენტით შემცირებისა და ამავე დროს გაყვანილი ჯარების რაოდენობით ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ღონისძიება გამომდინარეობს დირექტივებიდან და ხელს უწყობს ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხის გადაჭრას, განიარაღების საკითხის გადაჭრას. ვ. მ. მოლოტოვმა თათბირს მოაგონა, რომ საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა შეთანხმდნენ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან შეთანხმებით, მათ შეიარაღებულ ფორმირებათა რაოდენობის შეზღუდვაზე.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, ამ წინადადებას განსაკუთრებით იმიტომ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, რომ მას მოჰყვება ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობაში ექვიანობის მოსპობა და, მაშასადამე, ეს ხელს უწყობს მათ შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დამყარებას.

ჯ. დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მზად არ არის განიხილოს საბჭოთა წინადადება, სანამ, როგორც იგი ამტკიცებდა, საბჭოთა დელეგაცია „კვლავ უარს იტყვის“ თავისუფალი არჩევნების საშუალებით გერმანიის გაერთიანების საკითხის განხილვაზე.

ა. პინემ განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაციის პოზიცია დღის წესრიგის პირველ პუნქტში უცვლელი რჩება.

ჰ. მაკმილანმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, საბჭოთა დელეგაციის წინადადებას დამოკიდებულება არა აქვს თათბირის მუშაობასთან და ეწინააღმდეგება მთავრობათა მეთაურების დირექტივების შინაარსსა და ფორმას.

შემდეგ ევროპაში არსებულ სახელმწიფოთა ჯარებზეებს შორის ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა წინადადებაზე ილაპარაკა ვ. მ. მოლოტოვმა. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ სასურველია დაიდოს ხელშეკრულება ერთი მხრივ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისა და დასავლეთ ევროპის კავშირის მონაწილეთა და მეორე მხრივ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა შორის, რამდენადაც ჯერ კიდევ მიღწეული არ არის შეთანხმება ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ. გაიხსენა რა შინაარსი ხელშეკრულების პროექტისა, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, ვალდებულებას თავი შეიკავონ ერთმანეთთან ურთიერთობაში ძალის გამოყენებისაგან ან მისი გამოყენების მუქარისაგან და ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი გზით გადაჭრან, ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ ემყარება რეალური ვითარების გათვალისწინებას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის შენელების იდეას.

ჯ. დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წევრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, რომლის წესდება ითვალისწინებს იმ ვალდებულებებს, რომლებზეც ლაპარაკია ხელშეკრულების პროექტში. ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა დალესმა, აპირებენ ლოიალურად შეასრულონ წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებანი, მაგრამ მზად არ არიან დადონ რაიმე სხვა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან უშიშროების შესახებ, რაც არ ითვალისწინებდეს მჭიდრო კავშირის არსებობას გერმანიის გაერთიანებასა და ევროპის უშიშროების პრობლემას შორის.

ა. პინემაც განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადება არ ითვალისწინებს კავშირს გერმანიის გაერთიანებასა და უშიშროების უზრუნველყოფას შორის. იგი, თქვა მან, აგრეთვე ახალს არაფერს იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან შედარებით.

ჰ. მაკმილანმა თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ვერ მიიღებენ ხელშეკრულებას უშიშროების შესახებ, რომელიც დამყარებული იქნებოდა გერმანიის გაყოფის შენარჩუნებაზე. მან აღნიშნა, რომ ვალდებულება თავი შეიკავონ შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, აგრეთვე ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში.

უპასუხა რა სამი სახელმწიფოს მინისტრების მოსაზრებებს, ვ. მ. მოლოტოვმა დაადასტურა, რომ ისინი უარს ამბობენ წინადადებებზე, რომლებიც ითვალისწინებენ გერმანიიდან უცხოეთის ჯარების გამოყვანას ან მათს შემცირებას და ევროპის სახელმწიფოთა დაჯგუფებებს შორის ხელშეკრულების დადებას. ამასთან ერთად მან ცხადყო იმ მტკიცებათა ულოგიკობა, თითქოს ზედმეტი იყოს ხელშეკრულებაში იმ ვალდებულებათა გამეორება, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შეიცავს. კერძოდ, გიხსენა მან, ჰ. მაკმილანმა განაცხადა, რომ ვალდებულება — არ გამოიყენონ ძალა — შეტანილია ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში; თუ ასეა, მაშინ რატომღა არის ზედმეტი ამავე ვალდებულების შეტანა წარმოდგენილ ხელშეკრულებაში?

გვეუბნებიან, განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, ჩვენ ან უნდა მივიღოთ სამი სახელმწიფოს 28 ოქტომბერს შემოტანილი პროექტი, ან არაფერი არ უნდა მივიღოთ ევროპის უშიშროების განსამტკიცებლადო. ილაპარაკა რა დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციების მიერ შეტანილ ხელშეკრულების პროექტზე, ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ასეთი ხელშეკრულების რეალური აზრი სრულიადაც არ არის ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა, არამედ არის მთელი გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი ჩაბმა დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებაში. ამიტომ ეს პროექტი ვერ გახდება შეთანხმების ბაზა და უკვე მხოლოდ ამიტომ იგი არ შეესაბამება მთავრობათა მეთაურების დირექტივას და ქეენევის თათბირის სულისკვეთებას.

მას შემდეგ, რაც ვ. მ. მოლოტოვმა თავისი სიტყვა დაამთავრა, დასავლეთის სახელმწიფოთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ მათ აღარ აქვთ შენიშვნები დღის წესრიგის პირველ პუნქტზე.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ მეტად სასარგებლო იქნებოდა გაგვეკეთებინა დღის წესრიგის პირველ პუნქტზე დისკუსიის ერთგვარი შეჯამება.

თათბირის განსახილველად მან შეიტანა პროექტი საბჭოთა დელეგაციის წინადადებისა დღის წესრიგის პირველ პუნქტზე. პროექტში ნათქვამია:

„სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ადასტურებენ, რომ, თუმცა დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხზე— აზრთა გაზიარების შედეგად ჯერ კიდევ არ მოხერხდა საპირო შეთანხმების მიღწევა, მიუხედავად ამისა, გამოირკვა პოზიციების დამთხვევა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში, რომლებიც ევროპის უშიშროებას შეეხება, სახელდობრ:

1. თათბირის ყველა მონაწილე იმას ემხრობა, რომ ხელშეკრულებაში ევროპის უშიშროების შესახებ გათვალისწინებული იყოს, რომ მისი მონაწილენი უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე ერთმანეთთან ურთიერთობაში.

2. მიღწეულია თანხმობა, რომ ევროპის უშიშროების ხელშეკრულების ვალდებულებანი უნდა ითვალისწინებდნენ ერთობლივ ღონისძიებებს, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპაში შესაძლო აგრესიას.

3. მიღწეულია აგრეთვე თანხმობა, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა დახმარება არ გაუწიონ აგრესორს.

4. აღიარებულია, რომ საჭიროა დაწესდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ზონა, რომლის ტერიტორიაზე განხორციელდება სათანადო ხელშეწყობა შეიარაღებული ძალების ზღვრულ ღონეთა დადგენის ღონისძიებანი, ამასთანავე დაწესდება სათანადო ინსპექცია.

5. აღიარებულია, რომ საჭიროა ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთ კონსულტაცია, რა-

28

## ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება განიარაღების საკითხზე

(სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება)

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შერბილებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას, ომის საფრთხის თავიდან აცილებას და შეიარაღების ტვირთის შემსუბუქებას,

საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები ადასტურებენ, რომ, საჭიროა განაგრძონ მისწრაფება შეთანხმებისადმი განიარაღების ვრცელი პროგრამის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობდა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, აგრეთვე შეიარაღების საჭიროებათა მსოფლიოს ადამიანთა და ეკონომიური რესურსების რაც შეიძლება ნაკლებ ხარჯვას.

მათმა განხილვამ ცხადყო, რომ არსებობს შეთანხმება ამ მიზნის შესახებ და რომ ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, რომლებიც ეხება შეიარაღების შემცირებასა და ატომური იარაღის აკრძალვას, მათ შორის ეფექტიანი კონტროლის დაწესების საჭიროებას, ოთხი სახელმწიფოს პოზიციები დაახლოვდნენ. რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებზეც ჯერ მიღწეული არ არის შეთანხმება, მინისტრები დათანხმდნენ, რომ ოთხი სახელმწიფო სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად მიიღებს ღონისძიებებს, რათა აღმოფხვრან არსებული უთანხმოება და, ამრიგად, შეიმუშაონ განიარაღების მათთვის მისაღები სისტემა, რომელიც შეიცავდეს ყველა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ეფექტიანი გარანტიების დაწესებით.

ამავე დროს მინისტრები დათანხმდნენ, რომ სახელმწიფოთა მიერ იმ განიარაღების ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის მეთოდების შესწავლა, რომელიც ამეამად სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება, მიზნად უნდა ისახავდეს განიარაღების პრობლემის მოწესრიგების გაადვილებას.

მინისტრები დაეთანხმნენ იმას, რომ ამასთან დაკავშირებით საჭიროა მთავრობათა მეთაურების დირექტივის შესაბამისად განაგრძონ უწინარეს ყოვლისა იმ დებულებათა განხილვა, რომლებსაც შეეხება:

ა) სსრ კავშირის ამა წლის 10 მაისისა და 21 ივლისის წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე,

ბ) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 21 ივლისის წინადადება აეროფოტოგადაღებისა და სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ,

გ) დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინადადებანი განიარაღების საკითხზე, რომლებიც შემოტანილია 21 ივლისსა და 29 აგვისტოს, და

დ) საფრანგეთის მთავრობის წინადადება განიარაღებისადმი ფინანსური კონტროლისა და ომის შესახებ, რომ შექმნილი თავისუფალი რესურსები მოხმარდეს მშვიდობიან მიზნებს.

მინისტრები აგრეთვე ადასტურებენ, რომ გამოირკვა სრული ერთსულოვნება იმის შესახებ, რომ ოთხი სახელმწიფო, მათი მთავრობათა მეთაურების განცხადებათა შესაბამისად, თავიანთ ურთიერთობაში თავს შეიკავებს შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან და ეცდება იმას, რომ უთანხმოებანი, რომლებიც არსებობენ ან შეიძლება წამოიჭრას მათ შორის, მშვიდობიანი გზით გადაიჭრას.

* * *

შემდეგი სხდომა გაიმართება 16 ნოემბერს.

## 16 ნოემბრის დილის სხდომა

ჟენევა, 16 ნოემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ დილის 11 საათსა და 30 წუთზე თავიანთ მეთექვსმეტე სხდომაზე, რათა განეხილათ საბჭოთა დელეგაციის წინადადება დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხზე, რომელიც შეტანილ იქნა გუშინ დღის სხდომაზე.

დღევანდელ სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი. განსახილველ საკითხზე პირველი გამოვიდა ჯ. დალესი.

გუშინ, თქვა მან, საბჭოთა დელეგაციამ შემოიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა აღნიშნონ პოზიციების თანადამთხვევა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ევროპის უშიშროებას ეხება. მე არ უგულებელყოფ იმ ფაქტს, რომ გამოვლინდა ერთგვარი პარალელიზმი ჩვენს აზროვნებაში ამ საკითხებზე, და არ ვამცირებ ამ ფაქტის მნიშვნელობას. მე პირველმა მივაქციე უურადღება პოზიციების ამ თანადამთხვევას, როცა ანალიზს ვუკეთებდი იმ საერთო ელემენტებს, რომლებიც იყო დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებებში და საბჭოთა კავშირის მეორე წინადადებაში. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ეს გავაკეთე მანამდე, სანამ საბჭოთა კავშირი ბოლოანად ჩამოაყალიბებდა თავის პოზიციას გერმანიის გაერთიანების საკითხზე. განსხვავება ჩვენს შეხედულებებში უშიშროების საკითხზე, განსაკუთრებით იმაში, რაც შეეხება გერმანიას, ნატოსა და ბრიუსელის ხელშეკრულებას, გვიჩვენებს, რომ ჩვენს შორის ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი უთანხმოება არსებითს საკითხებზე.

ჯ. დალესმა გამოთქვა შიში, რომ საბჭოთა წინადადების შეუძლია შექმნას არასწორი შთაბეჭდილება, რამდენადაც მასში არ არის საკმაოდ ასახული დასავლეთის სახელმწიფოების აზრი იმის შესახებ, რომ გერმანიის გაყოფის პირობებში არ შეიძლება არსებობდეს უშიშროების ერთიანი სისტემა. მან აღნიშნა, რომ ამ წინადადებებში გათვალისწინებული იყო განსაკუთრებული გარანტიები და დამცველი ღონისძიებანი, რათა საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფილი იყოს ამ შემთხვევაში, თუ გერმანია მოისურვებს შეუერთდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებას ან ბრიუსელის ხელშეკრულებას.

მაგრამ, ამტკიცებდა შემდეგ დალესი, საბჭოთა კავშირმა თითქოს არ მიმართა არავითარ ცდას, რომ დაახლოებოდა დასავლეთის სახელმწიფოებს გერმანიის გაერთიანების საკითხში, რათა შეესრულებინა დირექტივის ის ნაწილი, რომელიც მოითხოვს გერმანიის გაერთიანებას თავისუფალი არჩევნების გზით.

შეეხო რა დღის წესრიგის მეორე საკითხს — განიარაღების საკითხს, — ჯ. დალესმა თქვა, რომ ამ საკითხის გადაჭრისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდა არა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტს. მიუხედავად ამისა, თქვა ჯ. დალესმა, მე მომაჩნია, რომ ჩვენ მიერ განიარაღების საკითხის განხილვა სასარგებლო იყო.

საბჭოთა კავშირმა, განაგრძო ჯ. დალესმა, შემოიტანა წინადადება, რომ დაგვედო საქმეყნო აღთქმა — არ ვაწარმოოთ ატომური ომი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აქ წარმოდგენილმა ოთხმა სახელმწიფომ და მსოფლიოს ყველა ხალხის უმრავლესობამ უამისოდაც იკისრა ვალდებულება არ აწარმოოს არავითარი ომი, რომელიც აკრძალული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. ამიტომ, როცა საქმე ეხება ატომურ იარაღს ან ყოველ სხვა იარაღს, ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გ

# ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში

(დასასრული)

სულისკვეთება, საჭიროა შეიქმნას ურთიერთგაგების სულისკვეთება, რომელსაც ჩვენი ხალხი მოითხოვს. თვითონულმა ჩვენგანმა თათბირის შემდეგ უნდა შეასრულოს ეს ამოცანა.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. მაკმილანმა თავის განცხადებაში, შეეხო რა დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას, თქვა:

ჩვენ რამდენადმე მივაღწიეთ გადაწყვეტას დავაში იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნას ჯერ განხილული: უშიშროების საკითხი თუ გერმანიის გაერთიანების საკითხი. ჩვენ განვიხილეთ ორივე საკითხი — უშიშროებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხი. ამ პრობლემაში ჩვენ რაღაც წარმატებასაც მივაღწიეთ. მე არ მინდა ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებებსა და დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებებს შორის უშიშროების საკითხზე არ ყოფილა სერიოზული უთანხმოება. მაგრამ მაინც ეს წინადადებები ერთსა და იმავე სიბრტყეზე იყო, ეხებოდა ერთსა და იმავე პრობლემებს. ჩვენ ელაპარაკობდით ინსპექციასა და კონტროლზე, შეიარაღების შეზღუდვაზე და სხვ.

ამის მიხედვით მე მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ უშიშროების საკითხზე ჩვენ შეგვეძლო მიგვეღწია მეტი წარმატებებისათვის, თუ კი გერმანიის საკითხში შევძლებდით მიგვეღწია პარალელური წარმატებისათვის მე ვფიქრობ, რომ შეგვეძლო დაებრკოლებლად შეგვედგინა ხელშეკრულება უშიშროების შესახებ, რომელიც დაკმაყოფილებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, თუ კი გერმანიის თავისუფლება და ერთიანობა უზრუნველყოფილი იქნებოდა.

აზრთა გაზიარება განიარაღების შესახებ, განაგრძო ჰ. მაკმილანმა, სასარგებლო იყო, მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენ უკვე მივუახლოვდით შეთანხმებას. ჩვენ შევთანხმდით მიზნებზე, მაგრამ ვერ გამოვნახეთ ამ მიზნების მიღწევის მეთოდები. ჩვენ თანახმა ვართ იმაზე, რომ საჭიროა შემცირდეს შეიარაღებული ძალები და ყველა კატეგორიის, ყველა ტიპის შეიარაღება. ჩვენ ყველას გვსურს თავიდან ავიცილოთ მზარდი ხარჯები თანამედროვე იარაღის წარმოებისათვის და გვსურს გავათავისუფლოთ სახსრები უფრო შემოქმედებითი მიზნებისათვის. მაგრამ ამის მისაღწევად საჭიროა ორი რამ: ნდობა და კონტროლი.

ნდობა ყველა ჩვენი პრობლემის გასაღებია. მაშ, თქვა დასასრულ ჰ. მაკმილანმა, თუ გვსურს წარმატებით გავართვათ თავი ჩვენი დღის წესრიგის თვითეულ პუნქტს — ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხს, განიარაღებისა და აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის კონტაქტების საკითხს,—ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ახალი სულისკვეთება. არ ქმარა ზოგადი მითითებანი და ფრაზები. ევნეკის სულისკვეთება რაღაც შინაგანია. ეს სინათლე არ აშუქებს კაცობას ალიკვთ, მაგრამ ეს ალი სავსებით არ ჩამქრალა. საჭიროა ხელის მცირე განძრევა, რომ ალი ისევ გაჩაღდეს.

შემდეგ განცხადება გააკეთა ვ. მ. მოლოტოვმა.

მთავარი საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა განგვეხილა, თქვა მან, არის ევროპის უშიშროების საკითხი და, ამასთან დაკავშირებით, გერმანიის საკითხი. და ეს გასაგებია. არ არის თანამედროვეობის იმაზე უფრო დიდძნიშვნელოვანი პრობლემა, ვიდრე ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების პრობლემა.

სავსებით ბუნებრივია, რომ ევროპის ხალხებისათვის პირველ ადგილზეა ევროპის უშიშროების პრობლემა. გერმანიის საკითხს კი ამ პრობლემის მიმართ დაქვემდებარებული ხასიათი აქვს. თუ უზრუნველყოფილ იქნა ევროპის უშიშროება, ამით უზრუნველყოფილ იქნება გერმანელი ხალხის უშიშროებაც და ყველაზე ხელსაყრელი პირობები გერმანიის მთელი პრობლემის, მათ შორის გერმანიის ერთიანობის აღდგენის გადაჭრისათვის. ამ მიზნით ჩვენ შემოვიტანეთ ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების პროექტი.

თუ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ჯერ კიდევ სავსებით მზად არ არის, რომ შეიქმნას კოლექტიური უშიშროების ორგანიზაცია მთელი ევროპისათვის, შეიძლებოდა დაგვეწყო უშიშროების პაქტით ევროპის ნაწილისათვის, მათ შორის არსებული ორი გერმანული სახელმწიფოსა და ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც უკვე ახლა მზად არიან შევიდნენ ამ ორგანიზაციაში. ამაზე ავრეთვე არის პირდაპირი მითითება მთავრობათა მეთაურების დირექტივებში. ჩვენ შემოვიტანეთ სხვა წინადადებებიც ამავე მიზნით, მაგრამ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ.

ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მისწრაფება, რომელიც სრულიადაც არ შეესაბამება მთავრობათა მეთაურების გადაწყვეტილებებს. ცდილობდნენ ჩვენგან მიეღოთ თანხმობა არა მარტო დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციაზე, რაც უკვე ხორციელდება პარიზის შეთანხმებათა შემდეგ, არამედ აგრეთვე აღმოსავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციასა და მთელი გერმანიის შეყვანაზე დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში. წინადადებას ძალოდნენ ყოველივე ეს განხორციელებულიყო სათანადო სრულიად გერმანიის არჩევნების გზით ეგრეთწოდებული „იდენის გეგმით“. ასეთი წინადადება თათბირის ყველა მონაწილის მხარდაჭერას ვერ პოვებდა.

ჩვენ მწუხარება უნდა გამოვთქვათ, რომ ჩვენს თათბირზე ვერ მივაღწიეთ ჯეროვან მიღგომას გერმანიის პრობლემისადმი. თუმცა გერმანიაზე ბევრს და ხალისით ლაპარაკობდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, მაგრამ ისინი იმასაც კი არ დათანხმნენ, რომ მოგვესმინა გერმანელი ხალხის წარმომადგენლებისათვის, და უარყვეს ჩვენი წინადადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ.

მეორე მხრივ, დასავლეთის სამი სახელმწიფოს წინადადებანი აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიაში რეალურად არსებულ მდგომარეობას და ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს. ახლა არ შეიძლება გერმანიის საკითხის გადაწყვეტა ისე, თუ ანგარიში არ გაეწია ფაქტს, რომ არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილებით. არ უნდა მოეწყოთ რეალურ ნიადაგს. სავსებით აშკარაა, რომ არ შეიძლება განხორციელდეს ცდები, რომელთა მიზანია ის, რომ დასავლეთმა გერმანიამ ჩანთქას აღმოსავლეთი გერმანია. დასავლეთის სამი სახელმწიფოს წინადადებანი კი იმით ამოიწურებოდა, რომ დასავლეთმა გერმანიამ ჩანთქას აღმოსავლეთი გერმანია „იდენის გეგმის“ დახმარებით. ასეთ ვარაუდს არავითარი საფუძველი არა აქვს.

ჩვენ ვემხრობით იმას, რომ აღდგენილ იქნას გერმანიის ერთიანობა სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების საფუძველზე. მაგრამ ჩვენ დახმარებას ვერ გავუწევთ გერმანიის რაიმე ნაწილის და, მით უმეტეს, მთელი გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმებს და იმ სამხედრო დაჯგუფებებში მისი შეყვანის გეგმებს, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ ევროპის უშიშროების საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია ევროპის ყველა ხალხისათვის და რომ ამ საკითხის გადაუჭრელად ვერც გერმანიის საკითხი გადაიჭრება. განხილვამ ამასთანავე ცხადყო, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის დროსაც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ევროპის უშიშროება. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ უკუვაგდოთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმები, პარიზის შეთანხმებანი იქნება ის თუ ახალი, უფრო ფართო განზრახვები, რომლებიც მოიცავენ არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ გერმანიასაც.

განხილვამ აგრეთვე ცხადყო, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა უწინარეს ყოვლისა თვითონ გერმანელთა საქმე უნდა გახდეს და რომ გერმანელთა მონაწილეობის მიუღებლად გერმანიის საკითხის განხილვა საერთოდ არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადება — შეიქმნას სრულიად გერმანიის საბჭო, წინადადება, რომელსაც შეიცავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიმართვა ჩვენი თათბირისადმი, მომწიფებული და სავსებით სწორია. ორივე გერმანული სახელმწიფოს პარლამენტების წარმომადგენელთაგან სრულიად გერმანიის საბჭოს შექმნა არ დაარღვევს ამჟამად არსებული არც ერთი გერმანული სახელმწიფოს ინტერესებს და არ უნდა შეეხოს საზოგადოებრივ წესწყობილებას, რომელიც არსებობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ან გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. საჭიროა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლები ბოლოს და ბოლოს შეუდგნენ ყველა იმ საკითხის ერთობლივად განხილვას, რომლებიც აღელვებენ გერმანელ ხალხს. საჭიროა დაიწყოს დაახლოება და თანამშრომლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის. უამისოდ არ შეიძლება მომზადდეს გერმანიის გაერთიანება.

შეეხო რა გენიარაღების საკითხის განხილვის შედეგებს, ვ. მ. მოლოტოვმა მოაგონა სხდომას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებს დაევალათ განეხილათ მუშაობა, რომელიც შეასრულა გენიარაღების კომისიამ, მხედველობაში მიეღოთ მთავრობათა მეთაურების თათბირზე წამოყენებული აზრები და წინადადებანი და განეხილათ, შესაძლებელია თუ არა გამოიჩინონ შემდგომი სასარგებლო ინიციატივა განიარაღების დარგში.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინადადებაში, რომელიც შემოტანილია ამ საკითხზე, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი გამალებული შეიარაღების შეწყვეტაზე, არაფერია ნათქვამი შეიარაღების შემცირებაზე. ამ წინადადებაში საერთოდ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ საჭიროა აიკრძალოს ატომური იარაღი, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ეს ჯერ კიდევ 1946 წელს მოითხოვა.

ამ უკანასკნელ ხანს, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, შემდეგ კი დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები დაადგნენ იმ პოზიციების გადასინჯვის გზას, რომლებიც მათ წინათ ეკავათ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში. ისინი უარს ამბობენ განიხილონ განიარაღების ღონისძიებანი. უფრო მეტიც, დასავლეთის სახელმწიფოებმა თათბირზე დაიკავეს პოზიცია, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მთავრობათა მეთაურების დირექტივებს. ამ ნათელი დირექტივების წინააღმდეგ აქ სცადეს საქმე ისე დაესახათ, თითქოს ამჟამად შეუძლებელი იყოს განიარაღების საერთო პროგრამის განხორციელება, და მოითხოვეს, რომ დავჯერდეთ კონტროლისა და ინსპექციის დაწესებას, ისე რომ არ მივიღოთ რაიმე ღონისძიებანი შეიარაღების შესამცირებლად.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ნათელი და თანმიმდევრულია. ჩვენ იმას ვითვალისწინებთ, რომ განიარაღების დარგში მთავარი ამოცანაა პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ხალხთა განთავისუფლება ატომური ომის საფრთხისაგან. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ განუხრელად განვახორციელებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ერთსულოვნად მიღებულია წინათ, გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა დაიდოს საერთაშორისო კონვენცია, რომელიც გაითვალისწინებს ყველა შეიარაღების მნიშვნელოვან შემცირებას და ატომური იარაღის აკრძალვას, საერთაშორისო კონტროლის დაწესებას.

ყოველივე ეს გამოიხატა საბჭოთა მთავრობის მიმდინარე წლის 10 მაისის წინადადებებში.

განაცხადა რა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვეს მორალურ-პოლიტიკურად დაეგმოთ ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება, აგრეთვე უარყვეს საბჭოთა დელეგაციის სხვა წინადადებანი, ვ. მ. მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გარემოება არ მოახდენს გავლენას საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილებაზე — მომავალშიც დაიცვას განიარაღების საქმე. საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად მთელი სიმტკიცითა და თანმიმდევრობით ეცდება გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და ატომური ომის საფრთხის აღმოფხვრას.

შეეხო რა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების საკითხის განხილვას, ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას არ დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა იმ ბარიერთა მოსპობის საკითხში, რომლებიც ხელს უშლიან ვაჭრობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. რაც შეეხება კონტაქტების განვითარების კულტურის, მეცნიერებისა და სხვა დარგში, დასავლეთის სამი სახელმწიფოს დელეგაციები კვლავ დაჟინებით იცავდნენ ისეთ წინადადებებს, რომლებიც სავსებით შეადგენს შესაბამის სახელმწიფოთა კომპეტენციას, როგორც მათი საშინაო საქმე, ისეთ წინადადებებს, რომლებიც, ბუნებრივია, ვერ გახდებოდა ამ თათბირზე განხილვის საგანი.

დასასრულ ვ. მ. მოლოტოვმა თქვა:

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგებს, რომელმაც გამოხატა ხალხთა ფართო მისწრაფება საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისადმი. ამ თათბირის შემდეგ საბჭოთა კავშირმა უკვე განახორციელა მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცება ჟენევის სულისკვეთების შესაბამისად. საბჭოთა კავშირი კვლავაც ივლის ამ გზით იმათთან ერთად, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესები.

საგარეო საქმეთა მინისტრების ეს თათბირი დამთავრდა რაიმე არსებითი გადაწყვეტილების მიუღებლად.

მან ცხადყო, რომ ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან, დაბრკოლებათა და განწყობილებათა გადალახვასთან, რომლებიც ხშირად უკან ეწევიან საქმეს და არა წინ. ჩვენ დღესაც ზოგჯერ დავინახეთ ზოგი რამ ისეთი, რომელიც როდი შეესაბამებოდა ჟენევის სულისკვეთებას. მაგრამ ასეთი მოქმედებით შეიძლება მიხვიდე მდგომარეობამდე, რომელიც უახლოვდება იზოლაციას და არა შენი პოზიციების გაუმჯობესებას მსოფლიოს ხალხთა შორის. ამასთან, თათბირი დაგვეხმარა ფართო წრეების ყურადღება მიგვეპყრო ჩვენი დროის ყველაზე არსებითი პრობლემებისადმი, და ამან არ შეიძლება არ მოახდინოს დადებითი გავლენა.

ახლა უფრო ნათელი გახდა არა მარტო დაბრკოლებები, არამედ აგრეთვე ის ფართო შესაძლებლობები, რომლებიც მოგვეპოვება ისეთი პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის, როგორიც არის ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა, გენიარაღების პრობლემა, გერმანიის საკითხის გადაჭრა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოება და სხვ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს თათბირი სარგებლობას მოუტანს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

• • •

სანამ თათბირს დახურავდა, ვ. მ. მოლოტოვმა როგორც თავმჯდომარემ და როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ჯ. დალესს, ა. პინესა და ჰ. მაკმილანს და მათს თანამშრომლებს ყურადღებისათვის, რაც მათ გამოიჩინეს დღის წესრიგში დასმული საკითხების განხილვისას. მან აგრეთვე წინადადება შეიტანა თათბირის ყველა მონაწილის სახელით მადლობა უძღვნან შვეიცარიის მთავრობას, ჟენევის საქალაქო და კანტონალურ ხელისუფლებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის განყოფილების ადმინისტრაციასა და გაერთიანებული სამდივნოს თანამშრომლებს სტუმართმოყვარეობისა და სამსახურის გაწევისათვის.

ჯ. დალესი, ა. პინე და ჰ. მაკმილანი შეუერთდნენ ვ. მ. მოლოტოვის წინადადებებს მადლობის გამოთქმის შესახებ.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა დახურულად გამოაცხადა.

# ვ. მ. მოლოტოვი ჟენევიდან გამოემგზავრა

ჟენევა, 17 ნოემბერი. (საკდესი). ღღეს ჟენევიდან გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

კუნტრენის აეროდრომზე ვ. მ. მოლოტოვი გააცილეს შვეიცარიის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა, სსრ კავშირის დესპანმა შვეიცარიაში პ. ი. ერშოვმა, შვეიცარიაში აკრედიტებულმა მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურ მისიათა მეთაურებმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებაზე ჟენევაში ვან ბინ-ნანმა, საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე სსრ კავშირის დელეგაციის წევრებმა და თანამშრომლებმა და სხვ.

ვ. მ. მოლოტოვმა აეროდრომზე მიკროფონთან შემდეგი განცხადება გააკეთა:

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის საბოლოო სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ ჩამოაყალიბა თავისი აზრი და თათბირის შედეგების შეფასება. ამასთან აღინიშნა როგორც თათბირის მნიშვნელობა, ისე ითქვა ისიც, რის გაკეთებაც თათბირმა ვერ შეძლო.

საბჭოთა დელეგაციის სახელით მინდა ჩვენი დიდი მადლობა ვუძღვნა შვეიცარიის ფედერალურ მთავრობას, ჟენევის კანტონისა და ქალაქ ჟენევის ხელისუფლებს მათი ტრადიციული სტუმართმოყვარეობისათვის და გადავცე ჟენევის მოსახლეობას და მთელ შვეიცარიელ ხალხს ჩვენი სალამი და საუკეთესო სურვილები.

# დამთავრდა სსრ კავშირის XXXVI პირველობა მძლეოსნობაში



17 ნოემბერი მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი დღე იყო. ასპარეზობა დილიდანვე დაიწყო. მძლეოსნურ სექტორებზე და სარბენ ბილიკებზე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. მოპოვებული შედეგები სასიხარულო და საამაყოა.

იწყება სპორტული სიარული 50 კილომეტრზე. სტარტი მიცემულია. შეჯიბრებაში ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები, რომელთა რიგებში არიან სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო რეკორდსმენი მ. ლავროვი, ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი ვ. უხოვი, ა. ეგოროვი, ა. ვედიაკოვი და სხვ.

თავიდანვე ა. მიკენასი (ლიტვა) დაწინაურდა. დისტანციის ნახევარი მან ისე გაიარა, რომ ლიდერობა არავისთვის დაუთმია. 30-ე კილომეტრზე ა. მიკენასს გაუსწრო მოსკოველმა სპორტსმენმა ა. ვედიაკოვმა. იგი ჩემპიონობისათვის მებრძოლთა მთავარ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა. გავლილია 35, 40, 45 კილომეტრი, ახლოდაა ფინიში. „დინამოს“ სტადიონზე პირველი ა. ვედიაკოვი გამოჩნდა, მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზე ლიდერს მოსკოვის პირველი გუნდის წარმომადგენელმა ა. ეგოროვმა გაუსწრო და ფინიშთან პირველი მივიდა. საბჭოთა კავშირის ახალმა ჩემპიონმა ა. ეგოროვმა აჩვენა დრო 4 საათი, 7 წუთი და 28,6 წამი. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია. ა. ვედიაკოვმა მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა მ. ლავროვი (რსფსრ).

მაყურებლებმა აღმოსავლეთ ტრიბუნისაკენ გადაინაცვლეს. აქ საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ დაიწყო დასკვნითი შეხვედრები სამმაგ ხტომაში. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა 6 უძლიერესი მძლეოსანი, რომელთა შორის იყო სსრ კავშირისა და ევროპის რეკორდსმენი ლ. შჩერბაკოვი (მოსკოვი). რამდენიმე ხახტომის შემდეგ მეტოქეთა შორის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ლ. შჩერბაკოვი აკეთებს სამმაგ ნახტომს. შედეგი 15 მეტრი და 92 სანტიმეტრია. ეს მიღწევა ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა. ლ. შჩერბაკოვის სახით სსრ კავშირის ახალ ჩემპიონთა რიგებს კიდევ ერთი ოქროს მედალისანი მიემატა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: მეორე — ნ. დემენტიევი (რსფსრ, 15,78 მეტრი), მესამე — ო. ფედოსეევი (მოსკოვი, 15,69 მეტრი).

სტატზე არიან სპორტიერი ქალები, 200 მეტრზე ფინალური გარბენის მონაწილენი. სტარტორის დამბაჩის გასროლის ხმაზე ადგილიდან მოწყდა უძლიერესთა ექსკუსული. ფინიშთან ტემპს უმატა ზ. საფრონოვამ (მოსკოვი) და დისტანცია პირველმა დაფარა. დრო — 24 წამი. ჩემპიონს მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩა მ. იტკინა (ბელორუსია), რომელიც მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე ადგილი ხვდა ნ. დეკონსკაიას (მოსკოვი, 24,2 წამი).

1.500 მეტრზე რბენის ფინალური შეჯიბრებისათვის წინასწარმა შეხვედრებმა 6 უძლიერესი სპორტსმენი გამოავლინა. ესენი იყვნენ მოსკოვის, რსფსრ, ბელორუსიისა და ლატვიის გუნდების წარმომადგენელი — ვ. ოკოროკოვი, ბ. ალეკსიუკი, ა. ოსმინკინი, ა. ბალაკინი და სხვ. მორბენლებმა გაიარეს პირველი, მეორე, მესამე წრე. წინ იყო ა. ბალაკინი. შეჯიბრების დასკვნით ნაწილში დიდი სისწრაფე განავითარა სსრ კავშირის რეკორდსმენმა ვ. ოკოროკოვმა (მოსკოვი) და დისტანციის 3 წუთსა და 46,6 წამში გავლით ჩემპიონობა მოიპოვა. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი ხვდა ბ. ალეკსიუკს (რსფსრ, 3.49,8) და ა. ოსმინკინს (მოსკოვი, 3.51,0).

5.000 მეტრზე ფინალურმა შეჯიბრებამ საერთო ინტერესი გამოიწვია. ვ. კუცმა აჩვენა დრო — 14 წუთი და 8,6 წამი და ჩემპიონი გახდა. ნ. პუდოვმა (რსფსრ) მეორე ადგილი დაიკავა — 14.17,8. მესამე ადგილზე გამოვიდა ი. ჩერნიავსკი (უკრაინა) — 14.18,2.

ფინალურ შეჯიბრებას წინ უძღოდა ეროს მტყორცნელთა წინასწარი შეხვედრები. დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მ. კრივონოსოვმა (ბელორუსია), ნ. რედკინმა (უკრაინა), ს. ნენაშევმა (აზერბაიჯანი) და სხვ. აქ ყველაზე უძლიერესი აღმოჩნდა სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო რეკორდსმენი მ. კრივონოსოვი, რომელმაც ეროო 64,41 მეტრზე ტყორცნა და მეორეჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. სპორიზო ადგილები დაიკავეს აგრეთვე ნ. რედკინმა (61,51 მეტრი) და ს. ნენაშევმა (60,74 მეტრი).

დიდი ინტერესით მიმდინარეობდა შეჯიბრება ქალთათვის 800 მეტრზე რბენის ფინალში. მთავარი ბრძოლა ოქროს მედლისათვის ლ. ლისენკოსა (უკრაინა) და ნ. ოტკალენკოს (მოსკოვი) შორის წარმოებდა. ფინიშთან უფრო ძლიერი აღმოჩნდა უკრაინელი სპორტსმენი და დისტანცია წარმატებით დაამთავრა. მან აჩვენა დრო—2 წუთი და 5,8 წამი. ნ. ოტკალენკომ 800 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 6,4 წამში. მესამე ადგილი დაიკავა ვ. კოზლოვამ (უკრაინა, 2.09,4).

უკანასკნელი შეხვედრები გაიმართა ამანათრბენში ქალთათვის 4×200 მეტრზე და ვაჟთათვის 4×400 მეტრზე. ამანათრბენი ქალთათვის დამთავრდა მოსკოვის გუნდის გამარჯვებით, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ნ. დეკონსკაია, ნ. სმირნოვა, ლ. შაროვა და ზ. საფრონოვა. ეს მანძილი დედაქალაქის გუნდმა გაირბინა 1 წუთსა და 39,2 წამში.

ვაჟთა ამანათრბენში 4×400 მეტრზე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ლენინგრადის გუნდი კ. გრაჩევის, გ. კრიუშინის, ს. აგეევისა და ა. იგნატიევის შემადგენლობით. დრო — 3 წუთი და 14 წამი.

შეჯიბრების პროგრამა ამოიწურა. შეჯამებულ იქნა გუნდების მიერ 5 დღეში შეგროვილი ქულები. საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვის მძლეოსანთა პირველმა კოლექტივმა.

სსრ კავშირის XXXVI პირველობა მძლეოსნობაში დამთავრდა. ალამი დაუშვეს ჩემპიონებმა.

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში მოეწყო მეგობრობის საღამო — თბილისის ფიზკულტურული და კომკავშირული აქტივის შეხვედრა შეჯიბრების მონაწილეებთან.

ვ. გაგელია.

• • •

**სურათზე:** სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონები მძლეოსნობაში. ზევითა რიგში მარცხნიდან—ა. ეგოროვი, ზ. საფრონოვა, ვ. ოვსეპიანი, მ. პისარევა, ი. ლიტუევი; ქვედა რიგში — ვ. კუზნეცოვი, ს. რეიშჩინი, მ. კრივონოსოვი, ვ. ოკოროკოვი, ე. ბულანჩიკი.

## ნეკროლოგი

### ი. ხაჩიძე

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს გარდაიცვალა ... ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ირაკლი ტარასის-ძე ხაჩიძე.

ამხ. ი. ხაჩიძე დაიბადა 1914 წ. ქ. თელავში, მოსამსახურის ოჯახში. 1939 წელს მან დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1939-1941 წლებში ამხ. ი. ხაჩიძე სხვადასხვა პასუხსაგებ სამეურნეო სამუშაოზეა. 1941-1946 წლებში საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფებოდა. არმიიდან დაბრუნების შემდეგ 1946-1949 წლებში მუშაობდა თელავის მტს-ის დირექტორად.

1949 წელს ამხ. ხაჩიძეს ირჩევენ ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1952 წელს თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც ივნ უკანასკნელ დრომდე მუშაობდა.

1939 წლიდან ამხ. ხაჩიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო.

ამხ. ხაჩიძემ თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის სამსახურს მოახმარა, იგი თავდადებით შრომობდა ყველგან, სადაც მას პარტია გზავნიდა, უანგაროდ ემსახურებოდა კომუნისტებს გამარჯვების საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული წევრის, ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტის, საუკეთესო ამხანაგისა და მეგობრის ი. ტ. ხაჩიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## სამეცნიერო სესია

19 ნოემბერს საღამოს 7 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი აწყობს რუსეთის პირველი რევოლუციისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას.

სესიაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია (მომხსენებელი ი. კაჟარავა), საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლების სათავეში რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში (მომხსენებელი ლ. ებანოიძე), საქართველოს ბოლშევიკური პრესა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (მომხსენებელი გ. ...ნია), 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიურ მონაწილეთა გამოსვლები.

## ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 19 და 20 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მეტწილად უნალექოდ. აღმოსავლეთის სუსტი, რიონის ხეობაში ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 4-9, დღისით 14-19 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 8-13 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში ალგა-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი სითბო, დღისით 11-16 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 5-9 გრადუსი სითბო.

## მ ა ს ნ ო რ ე ბ ა

„კომუნისტის“ 17 ნოემბრის ნომერში მე-2 გვერდზე მოთავსებულ შ. კახიძის წერილში „პარტიის XX ყრილობის შესახვედრად“ პირველი სვეტის ზემოდან მე-4 აბზაცის მე-8 და მე-9 სტრიქონში ნაცვლად სიტყვებისა „რაიონის მშრომელებ